# საქართველო

წელიწადი მეექვსე — ოთხშაბათი, იანვრის 21 1920 წ. № 14 — ფასი 3 მან.



## კავკასიური დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოება

გამგეობა თბილისში, ოლღას ქუჩა, № 8. ტელეფონი № 11.

იღებს დასაზღვევად ცეცხლისგან შენობებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, საქონელს, მასალას და სხ. თბილისში, ბაქოსა, ბათუმში, ერევანში და ამ.-კავკ. სხ. ქალაქებში

**კავკასიის დამზღვევი და სატრანსპორტო საზოგადოება**

**არის პირველი საზ-ება კავკასიაში,**

მისი გამგეობა იმყოფება ქ. თბილისში, მისი ყველა კაპიტალი მოთავსებულია თბილისის მთავარ ბანკებში, რაც შეძლებას იძლევა დამზღვევთაგან ზარალის დაუყოვნებლივ ანაზღაურებას.

თანახმად საბჭოს დადგენილებისა, საზოგადოება თავის ძირითად კაპიტალს ადიდებს 4 მილიონ მანეთამდე ახალ აქციების გამოცემით, რაც სხვა კაპიტალთან ერთად საქმეს უყრის მტკიცე საფუძველს.

**განცხადება დაზღვევისთვის მიიღება:**

**თბილისში**

1) საზოგადოების გამგეობაში (სოლოლაკის ქ. № 8. ტელეფ. № 11)

2) თბილისის სავაჭრო ბანკის გამგეობაში.

**ბ ა ქ ო შ ი**

1) თბილისის სავაჭრო ბანკის ბაქოს განყოფილებაში ხ. ი. კარაპეტიანცთან,
2) კავკასიის ბანკის ბაქოს განყოფილებაში ა. გ. ბურსუკთან.

**ბ ა თ უ მ შ ი**

1) სააგენტურო-საექსპედიციო და სავაჭრო საზოგადოების „არაქსის“,
2) გ. გ. ჩეხოვის და 3) დ. ი. პარაჩის სააგენტოებში და

**ე რ ე ვ ა ნ შ ი**

თბილისის სავაჭრო ბანკის ერევნის განყოფილებაში ბანკის გამგე ა. დ. ხუდაბაშოვთან.

## ანონსი

ამ დღეებში ერთ-ერთ კინო-თეატრში პირველი კინო-დრამა, გადაღებული თბილისში. დადგმა აქც. საზ-ბის კინო-ატელიე „ფ ი ლ მ ა“-ს მიერ.

**კინო პალასი** — დიდებული დადგმა. საუცხოვო ანსამბლი:— ეკრანის ორი სიმშვენიერე

**ელენე ლეონიდოვისა**

(ცნობილი მარიამ მაგდალინელის სურათით)

**ევა დორინგტონ** მხატვრულ სალონის დრამაში

**ვნება და გამოცდა** 5 ნაწილად

**ცეკვა „შიშველისა“**

ე. ლეონიდოვის შესრულებით

მუსიკ. ილუსტრ. ნ ხუდიაკოვისა

**ა პ ო ლ ო** — ახალი დიდი პროგრამა

**გულისა ძინის დამორჩილებით**

მხატვრული დრამა 3 მოქ.

ე რ ი ნ ი მ ო რ ე ნ ი ს

შესრულებით

**სამი მამა და ერთი შვილი**

მხიარული კომედია 3 ნაწ.

**კინო-თეატრი ფილმა** — ოლღას ქუჩა № 3.

გაგრძელება გრანდიოზული დადგმისა

დღეს **ფილანტროპი** და

**მეზღვაური სიმბადი**

ეპოქები 3 და 4 (6 ნაწ.)

**გრაფ-მონტე-კრისტო**

ა. დიუმას უკვდავ რომანით

ძმ. „პატეს“ ატელიეს გამოცემა.

## პირველ იანვრიდან გამოდის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# საქართველო

**1920 წ. (წელიწადი მეექვსე) 1920 წ.**

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი - კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო“ და ერთად შემოსწირონ ხელდრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წერეთელთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძიძიგურთან, წუა ბაზარში იოსებ გვალესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სესიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე“-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ ს. ზენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ ჯავახიშვილთან.

**გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:**

| ერთი წლით | ნახევარ წლით | სამი თვით |
|---|---|---|
| 1000 მან. | 600 მან. | 300 მან. |

**მისამართი:** თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა

**პირველი ქართული ბუღალტერიის კურსები**

**ალ. გ. საათაშვილისა**

(წელიწადი მესამე)

პირობის გასაგებათ დილის 10—12 საათ, ნაშუადღევის 5—7 საათამდე. მისამართი: თბილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქუჩის ახლოს), ტრ. ვაგონი № № 5 და 9. (2735 1-1)



**ქიმერიონი**

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

დღის 11 საათიდან 5-დე სადილი

რუმინული ანგელესკოს ორკესტრი

3—3 პროგრამა. ორშაბათს იანვრის 20 ს.

1) ქუჩის ბავშვები (პაროდია) 2) ტრივიალური ისტორია. სკეტჩი აგნიცევისა. 3) შვიდჯერ გაზომე ერთხელ გამოსჭერ ანდაზას ინსცენიროვკა ლეო გალის. 4) მომავალის ხელოვნება (შარჟი.) 5) ინსცენიროვკა შოპენი, 6) სიკვდილის ტანგო 7) ანტირას ცეკვა.

რეჟისორი დეოგალი — კონფერანსიე ნეჩაევი

მწუხარებისაგან გულმოკლულნი ნადია ვაჩნაძისა, შვილებით ვახტანგი, ნინა, ვიქტორ, კატუშა, ელისაბედ ვაჩნაძისა შვილებით მიხეილ, ილია, იოსებ, ანა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთა მამა და უკანასკნელთა სიძე

**იგორ (გიორგი) ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე**

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (ე)

სოლომონ მიხეილის ძე, ნატალია ანდრიას ასული, ქეთევან ქაიხოსროს ასული ჯაფარიძეები და სოფიო პეტრეს ასული ეპიტაშვილი, აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ რომ პირველი და მეორეს საყვარელი შვილის, მესამე მეუღლის და მეოთხე ძვირფასი დისწულის

**ალექსანდრე სოლომონის ძის ჯაფარიძის**

წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება პეტრე-პავლის სასაფლაოზე, ხუთშაბათს 22 იანვარს. 2738—1—1

გულითადეთქმული დედა ნინო ნიკოლოზის ასული რჩეულიშვილისა, და ანასტასია მიხეილის ასული რატიშვილისა ქალით ნინათი, ძმები ივანე და დიმიტრი მიხეილის ძენი რჩეულიშვილები თავის შვილებით რძლები ეკატერინე ალექსანდრეს ასული და ალექსანდრა ალექსანდრეს ასული რჩეულიშვილებისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას 18 სა იანვარსა 1920 წელსა სოფელს ურიათუბანში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მათთვის ძვირფასის

**გიორგი მიხეილის ძის რჩეულიშვილის**

დასაფლავება მოხდება სოფ ურიათუბანში (სად. მუკუზანი) 22-ს იანვარს საგვარეულო სასაფლაოზე

2737—1—1

ღრმად მწუხარებაში მყოფნი ფეოდოსია პეტრეს ასული ჯაყელისა, ელისაბედ ალექსანდრეს ასული, ლევან, თარხან და ალექსანდრეს (ბოცა) ლევანის ძენი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ნინა ლევანის ასული და ქსენია კონსტანტინეს ასული ჯაყელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის პირველის მაზლის და დანარჩენთა ბიძის

**გრიგოლ ჯაყელის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში, ხუთშაბათს 22 იანვარს, ნაშუადღევის სამ საათზე ექადიის ეკლესიაზე საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. 2734 1—1

**სახელმწიფო თეატრი**

ოპერა ეკლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს იანვრის 21-ს

მ. თარხან მოურავის ბენეფისი

**გ ო მ ე მ ა**

**მ ი ხ ე ი ლ ი ს**

**ალკრე**

პლეხანოვის ქუჩა, 91.

მხოლოდ ორი დღით 21 და 22 იანვარს

**თეთრი ვარდი**

მხატვრული დრამა 5 აქტათ

პროლოგი და ეპილოგით ცნობილ მსახიობების ბ-ნ **რუნიჩის** და ქ-ნ **ფეხნერის** მონაწილეობით

**ჩარდინინის დადგმა**

ყოველდღე სიმფონიური ორკესტრი. დასაწყისი საღ. 5 საათზე

**ქ ა რ თ უ ლ ი კ ლ უ ბ ი**

ხუთშაბათს 22 იანვარს

ქართული სამუსიკო საზოგადოების კაპელლა გამართავს

**კ ო ნ ც ე რ ტ ს**

ოპერა არაყიშვილისა

**„თქმულება შოთა რუსთაველიდან“**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 337 2—1

**„მეოცნებე ნიამორები“**

**წიგნი მესამე.**

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

გ. რობაქიძე—ვასაკა, ტ. ტაბიძე—ფატმან-ხათუნი, შ. ამირაჯიბი—მწვანე კაკადუ, ვ. გაფრინდაშვილი—ზამთრის დაისის გასვენება, კ. ნადირაძე—ყალბი ავტობიოგრაფია, ნ. მიწიშვილი—სამგლოვიარო მარში, რ. გვეტაძე—სევდის ფარმანდი, შ. კარმელი—ბოდლერის ოფორტი, ს. ცირეკიძე—მოზაიკის ღვთისმშობელი, ს. კლდიაშვილი—ევა ლაძარში, დია ჩიანელი—სევდიანი ფრაგმენტი, ვ. გაფრინდაშვილი—შენიშვნები ლირიკაზე, ს. ცირეკიძე—სათაური პოეზიაში და ლ. გუდიაშვილი—ყდა (ნიამორები).

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს:

ხერსონის მიმართულებით ბოლშევიკებმა კრივოი როგი აიღეს. ელიზაბეტ გრადის აღმოსავლეთით სასტიკი ომი სწარმოებს. ბოლშევიკები გადავიდნენ მდ. დონზე და მარიინსკის სანახებში იბრძვის. კრასნოიარსკის მხარეში მათ აიღეს ქ. კანსკი.

საფრანგეთის პრეზიდენტად დეშანელი ამოირჩიეს.

კლემანსოსა და დეშანელის კანდიდატურის წამოყენებისას კლემანსომ კენჭის ყრის დროს მიიღო 389, დეშანელმა 408 ხმა, კლემანსომ თავისი კანდიდატურა მოხსნა.

იტალიამ ფიუმეზე უარი განაცხადა. ფიუმე დამოუკიდებელ ქალაქად.

ოსმალეთში ინგლისელებისადმი უნდობლობა დღითი დღე იზრდება.

ერთა ლიგას სპარსეთიც უერთდება.

## წერილები:

მეთაური—ტერიტორიალი მისაღწევარი.

ტ. მარგველაშვილი—ვინ გვიშველის?

აკაკის დაუბეჭდავი ლექსი „განდეგილი“.

ტარასი ივანიცკი—ათონის საკითხი.


ქართული კლუბი.

ოთხშაბათს 21 იანვარს რუსული დრამის „ტარტოს“ მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

მოსამსახურე და გრაფინა

3 მოქმ.

II

უმანკოება

კომ. 1 მოქ. დიმოვისა.

რეჟისორი: ა. ა. ლუგანოვი.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

მონაწილეობს მთელი დასი

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

(1—336—1).

კინემო მინიონი

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

18, 19, 20, 21-ს იანვარს

კინო-დრამის კარიერის დასაწყისი და კულისების ცხოვრება

ვერა ხოლოდნაიასი

5 მოქ. დრამაში

ადიდე ეკლიანი გზა

მონაწილეობენ ვერა ხოლოდნაია და ო. რუნიჩი.

დასაწყისი საღ. 5 ს.


## ტერიტორიული მისაღწევარი

სუვერენობა და ტერიტორია—ორი აუცილებელი პირობაა ეროვნული არ- [illegible]

[illegible]

სუვერენობასთან ერთად, არც საქართველოს ტერიტორიის საკითხი იყო ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური მოქმედების იდეოლოგიური ობიექტი. და ეს დემენერატიული ხასიათი, შედეგი და ნაშთი ჩვენი უკანასკნელი მონობისა, დღესაც ძლეული არ არის. მაშინ როდესაც სუვერენობის საკითხში დღესაც არავითარი კომპრომისს არა ვსცნობთ, ტერიტორიის საკითხში ძალდაუტანებლივ გაჩუქებისა და დათმობის პოლიტიკას ვადგავართ, გვაკლია მამაპაპური ტერიტორიის შენახვის სახელმწიფოებრივი სიხარბე. გვაკლია საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების როგორც წარსულისა, ისე მომავლის ხილვა და პერსპექტივა; ამიტომაც ვერ გაფასებთ და უბრალოდ ვუყურებთ ტერიტორიის საკითხს ჩ არც გვენაღვ-

ლება მისი ადვილად დათმობა საქართველოს ისტორიული სხეულის დასახიჩრება! ჩვენი საზოგადოების ამგვარი პსიხოლოგია, ძალიან ბევრათ შედეგია სოციალისტური და ინტერნაციონალისტური იდეოლოგიისა, რომელიც ჩვენმა ინტელიგენციამ ბავშური სიმარტივითა და გულუბრყვილობით დაინათესავა.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მომავლის უზრუნველყოფა და ჩვენი ეროვნული ძალების გაშლის ლოღიკა მოითხოვს ჩვენი საზოგადოების ამ პსიხოლოგიის გარდაქმნას და საქართველოს ტერიტორიისადმი სათანადო ინტერესისა და გულმხურვალების გაღვიძებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პსიხოლოგიასაც ისე აეგება წესი, როგორც ბევრ სხვა სოციალისტურ პსიხოლოგიას და კონცეპციას. საშიშია მხოლოდ პროცესის დახანება.

ასე რომ ტერიტორიის საკითხში ინერტობის დაძლევა და მისი სწორი სახელმწიფოებრივი დაფასება—უნდა მორიგ პრობლემად გავიხადოთ ჩვენი ეროვნული სინიდისისა და აზროვნებისათვის; ხოლო საქართველოს ტერიტორიის ინტეგრალობის დაცვა—აღდგენა—ჩვენი რეალური პოლიტიკის უმთავრეს სადღეისო საგნათ.

საქართველოს ტერიტორიის საკითხი, [illegible]

თველობა.

მაგრამ საქართველოს ტერიტორიის ინტეგრალობის საკითხი დაკავშირებულია აგრეთვე ოსმალეთის საკითხთან. და ანტანტი დღეს სწორედ ოსმალეთის საკითხს იხილავს. ცხადია, ანტანტი ოსმალეთის კონგლომერატის დაშლას ვერ ასცდება.

ამას მოითხოვს ის ვალდებულება, რომელიც ანტანტმა საქვეყნოთ მისცა სომხეთს, არაბეთს, და სხვებს; ამას მოითხოვს წვრილ ერთა თავისუფლების პრინციპიც და რაც უმთავრესია, ეს პრინციპიულად არ ეწინააღმდეგება ანტანტის წევრთა სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ხოლო ოსმალეთის კონგლომერატის ეროვნულ ფერადების მიხედვით დაშლის დროს თორთუმ-ისპირ-ლაზისტანის საკითხიც კონკრეტულად დაისმება. და ვინაიდან ოსმალეთს იმპერიალისტური უფლება ამ მხარეზე დაეკარგება მის მემკვიდრეთ საქართველოს სახელმწიფო უნდა გამოვიდეს. აქ ძალდატანებული, ან შეუძლებელი არაფერია. ეს მხარე საქართველო იყო ისტორიულად და მისი დღევანდელი მოსახლეობაც—ქართველობაა. ამგვარად, ამ მხარის როგორც ისტორიულ კულტურული უფლება, ისე მისი აწინდელი ეთნოგრაფიული სახეც—ესე იგი, მთელი ამ მხარის ობიექტიური შინაარსი და შემადგენლობა მას საქართველოს მიაკუთვნებს. საჭიროა მხოლოდ მიზანი: საჭიროა ტერიტორიული ინტეგრალობის შეუყენებელი მიღწევის პსიხოლოგია და იმპულსი.

ჩვენი მთავრობა და ჩვენი დელეგაცია პარიზში ამ საკითხის შესახებ მუდმივს კონტაკტში უნდა იყვნენ. მთავრობა აქ და დელეგაცია იქ დღეს ამ საგანზე უნდა ალამებდნენ და ღამეს ამ საგანზედ უნდა ათენებდნენ. დღეს ამაზედ დიდი პრობლემა არა გვაქვს გადასაწყვეტი. საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობა და მისი ნამდვილი აღდგომა მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ეს პრობლემა დადებითად გადაიჭრება.

## რა მოგველის?

საქართველოში ყოველი კულტურული მეურნეობა გაჩანაგების საფრთხეშია ჩავარდნილი. სოხუმის ოლქში წინედ ცამეტი ათასი დესეტინა იყო დაფარული თამბაქოს პლანტაციებით. ეხლა ეს მიწა პლანტაციებისაგან სრულიად თავისუფალია. აღარც გლეხობა და არც პლანტატორი მწარმოებელი თამბაქოს მოყვანაზე აღარ ფიქრობს. კიდევ მეტი, საგანგებოდ დახელოვნებული მეთამბაქოებაში საზღვარ-გარედ მიდიან რომ იქ განაგრძონ თავიანთი ხელობა. ჩვენში ეს შეუძლებლათ მიაჩნიათ. გურიაში სრულიად აღარ სურთ თამბაქოზე ფიქრიც კი წინეთ აქ ათას სამასი დესეტინა პლანტაციები იყო ეხლა ორიოდე ქცევას თუ ვისმეს უნახავთ და ისიც დროებით. წელს მას აღარც ეს ექნება. ქიზიყსა და კახეთში ათას-ხუთასი დესეტინა პლანტაციები იყო მშვენივრად გაშენებული და კიდევ უკეთესად მოვლილი. გასულ წელს მთელ ამ მხარეში ასიოდე დესეტინა პლანტაციები თუ იქნებოდა; ისიც დიდი გასაჭირით. დანარჩენი მიწა სახნავ-სათესად გადააქციეს. აქ თამაშობს როლს პურის გაძვირება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. კახეთისათვის მაგ. ათასი დესეტინა რომ ვიანგარიშოთ თამბაქოს ქვეშ ყოფილად და ეხლა, მოთესილ არედ, სარგებლობის განსხვავება წინასა და ეხლანდელ მოსავალთ შორის მეურნეობის თვალსაზრისით მწარმოებლისათვის დიდია. მას თამბაქო ურჩევნია. ხორბალს ის 1000—2000 მან. ზევით ვერ გაჰყიდის. თამბაქოს ფასი კი 4—5 ათასი მან. იყო ექვსი თვის წინ, აქ თბილისში. მთავარი მიზეზი გახლავთ მეურნეთა სრული უიმედობა და შიშიანობა, რომ მოსავალი, თუ თამბაქო მოუვიდა მტკიცე ფასებში ჩამოერთმევა ან ექსპორტის აკრძალვით, სახელმწიფოს საზღვრებში დაკავებულს, ფასი დაეკარგება. აგეთივეა მდგომარეობა მეაბრეშუმეობაშიც. ეს გარემოება მით უფრო თხოულობს დიდ ყურადღებას, რომ ჩვენი ქვეყანა ძველი კულტურის ქვეყანაა და მისი შედარება ახალ ქვეყნებთან (ამერიკა) შეუძლებელია. იქ მიწა უხმარი, ჯანგაუტეხელი და ამისათვის მეტის-მეტი ნოყიერია; ხორბლეულობის მოყვანა იქ ხელსაყრელია, რადგან ეს მეურნეობა მასიურ მოსავალს იძლევა როგორც სივრცის სიდიდისა ისე მისი ნოყიერობის გამო. ჩვენ კი სულ დიდი რომ ვიანგარიშოთ, ოთხი მილიონი დესეტინა მიწა გვაქვს მთელს რესპუბლიკაში აჭარა-ქობულეთითურთ რომლის დამუშავება ასე თუ ისე შესაძლოდ ითვლება, მაგრამ ფაქტიურათ მისი 50 პროცენტიც ვერ გამოგვიყენებია ჯერ ხნობით, ჭაობიანობისა, გვალვიანობის და სხვა მიზეზების გამო. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება მაღალ კულტურის წინააღმდეგ ან არა პირდაპირ მისთვის ზიანის მიყენება შეუძლიან, უსათუოდ შემცდარად უნდა ჩაითვალოს. ბატონებო, შეგვიძლია ჩვენ თამბაქოს, აბრეშუმისა, მატყლისა და ბამბის მოსავლის შემცირების ანაზღაურება რაიმე სხვა მოსავლით თუ არა? შეგვიძლია ჩვენ მივცეთ მაგ. ხორბლისა თუ სიმინდის მოსავალს ისეთი მასიური ხასიათი, რომელიც ხალხის გამოკვებასთან ერთად ჩვენს საგარეო ვაჭრობის ბალანსს ასწევდა? კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ეს ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია. ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის მაღალ კულტურის ქვეყანაა. ეკონომიურათ ქვეყანას ვერ აფასებს ის ვისაც გონია, რომ ჩვენი უცხოეთთან ვაჭრობა შეიძლება სასოფლო ნაწარმოებთა გვერდის ავლით და მეურნეობის მხოლოდ-ღა შინაბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით. ამ გზით ჩვენ გვექნება ბევრი კაპუსტა, სტაფილო, მწვანეულობა, საყოფზე ბევრათ ნაკლები მარცვლეულობა და არღა გვექნება ყურძენი, ხილი, თამბაქო, ბამბა და სხ. მაღალ კულტურის მცენარეები. მაგ. იმერეთში დაფნასა და თხილსაც კი აღარ აქცევენ ყურადღებას. კარგია, თუ ეს გარემოება ოდნავათ მაინც მოგვცემს იმ შედეგს, რომ მარცვლეულობით უზრუნველ გვყოს, მაგრამ ეს წინდაწინვე შეუძლებლათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და მიწის ხასიათისა და რაოდენობის გამო.

აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სასოფლო მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორიცა არის მეცხვარეობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა და სხ. აქ უნდა გაეხსნას გზა კერძო თაოსნობას და არ შეიბოჭოს იგი შემდეგში მაინც.

სახელმწიფო მეტს მოიგებს თუ კერძო თაოსნობას გამოიყენებს იმ მხრივ რომ ხელს დაადებს არა მთელის მოსავალს არამედ მხოლოდ ნაწილს. ამაზე შემდეგ.

ტ. მარგველაშვილი.

# უცხოეთი

## საფრანგეთი

**ეროვნებათა ლიგა.**

კლემანსომ სამშვიდობო ხელშეკრულების დამტკიცების შემდეგ, იანვრის 10-ს, დეპეშით მიმართა არგენტინის ჩილის, კოლუმბის, დანიის, ისპანიის, ნორვეგიის, პაროგვის, ნიდერლანდების, სალვადორის, იაპონიის, შვეიცარიის და ვენეცუელის მთავრობებს და წინადადება მისცა მათ შემოვიდნენ ეროვნებათა ლიგის შედგენილობაში.

**ომის დამნაშავენი.**

პარიზიდან ლონდონს გაემგზავრა სამხედრო სასამართლოს მდივანი იგნასი, ლეიტენანტ რონესთან ერთად. მათ აზრად აქვთ მოელაპარაკონ ლონდონის იურისტებს ომის დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

**საფრანგეთის პარლამენტი**

საფრანგეთის პარლამენტის თავმჯდომარედ ხელმეორედ ამორჩეულ იქმნა 478 ხმით, წინააღმდეგ 7 ხმისა, პოლ. დეშონელი. თავმჯდომარის ამხანაგებად ამორჩეულ არიან რაულ პერე, ანარე ლიფარ, ფრანსაც არაგე და ლიფარ დებრე, რომელნიც ეკუთვნიან ეროვნულ კავშირის პარტიას.

**საფრანგეთის სახელმწიფო ბრილიანტები.**

პარიზში გადიტანეს ხაზინას საკუთრება ბრილიანტები, რომელნიც ამდენხანს ბორდოში ინახებოდა.

**საფრანგეთის მისსია ტორნში.**

ტორნში ჩამოვიდა საფრანგეთის სამხედრო მისსია, რომელიც ათ კაცისაგან შესდგება.

## გერმანია.

**პლებისციტი აღმოსავლეთ პრუსიაში.**

აღმოსავლეთ პრუსიაში, ვარმიასა და მაზურიაში პლებისციტისთვის უკვე დაიწყო მზადება. გერმანელებმა კარლსგოფში საპლებისციტო კომისია დაარსეს, რომელსაც განყოფილებანი აქვს ბერლინში, ჰელსენკირხენში, დიუსელდორფსა და ჰამბურგში.

## ინგლისი

**კიპროსის საკითხი.**

„ტან“-ის გადმოცემით, საბერძნეთის შეკითხვაზე, რომ მათ შეუერთდეთ ისევ კიპროსის კუნძული, ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ კიპროსის საკითხი ვერ გადასწყდება, ვიდრე არ გამოირკვევა აღმოსავლეთის ცენტრის მდგომარეობა და მისთვის ჯერ მათ დელეგაციას არ შეუძლიან გადაწყვეტილი პასუხი სთქვას.

## შეერთებული შტატები

**ვერსალის ხელშეკრულება.**

„ეკო დეპარი“-ს ვაშინგტონიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სენატი თანახმაა მოაწეროს ხელი ვერსალის ხელშეკრულობას, მხოლოდ აუცილებელი პირობით, რომ შეერთებული შტატები დამოუკიდებელნი იყვნენ ეროვნებათა კავშირისაგან.

## პოლონეთი

**ს. პატეკი პოლონეთის არმიის მდგომარეობის შესახებ.**

სტანისლავ პატეკ, რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფება პოლონეთის დელეგატად საზავო კონფერენციაზე „ტანი“-ს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: გიორგობისთვეში შესრულდა წლის თავი, რაც პოლონეთი დამოუკიდებლად არსებობს. უცხოელნი შეეჩვივნენ კიდეც პოლონეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ჯერ არ იციან რამდენი ენერგია დასჭირდა პოლონელებს რომ თავიანთი ქვეყანა ფეხზე დაეყენებინათ. სულ ექვსი თვის წინად არსებობდა სამი პოლონეთი; რუსული, გერმანული და ავსტრიისა. ძალიან ძნელი იყო იმ ქვეყნის მოწესრიგება რომელიც 150 წლის განმავლობაში მრავალ კანონების ქვეშ გამოიარა, მაგრამ პოლონეთის ხალხის ენერგიამ შექმნა ის, რაც ყოველ ადამიანის ძალას აღემატებოდა. და სწორედ ეს გარემოება ნებას გვაძლევს მომავალს იმედის თვალით შევხედოთ.

არის აგრეთვე ისეთი პირობები როგორც ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც გვაძლევს სულ სხვა და სხვა გარანტიებს.

პატეკი აღნიშნავს პოლონეთის საზღვრების გამოურკვევლობას დანცინგის საკითხს, რომელზედაც უფლება აქვს მიიღოს როგორც საჭირო გამოსავალ ზღვასთან.

## რუსეთი.

**უკრაინის კონსტიტუცია.**

რადის იურიდიულ კომისიამ ახალ კონსტიტუციის განხილვა დაამთავრა. კონსტიტუციაში შეტანილია ის შესწორება რომელიც რადის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყდა.

იმ შესწორებათა გარდა, რომელიც რადამ შეიტანა, კომისიამ შეიტანა კონსტიტუციაში ახალი მუხლი, რომლის ძალით, მთავრობას ეძლევა უფლება სესიის შეწყვეტის დროს გამოსცეს არა მარტო ისეთი კანონები, რომელიც არა ჩვეულებრივ პირობებით იქნება გამოწვეული, არამედ სხვა კანონებიც, თუ კი რადა სესიის შეწყვეტის წინ მთავრობას ამის ნებას დართავს.

## ამერიკა

**შეერთებულ შტატების საგარეო ვაჭრობა.**

1919 წ. პირველ ნახევარში გატანილ საქონელმა შემოტანილს გადააჭარბა 3.978.000.000 დოლლარით, რის მაგალითიც არ ყოფილა არც ერთ ქვეყნის ვაჭრობაში. გატანილ საქონელმა მიაღწია 7.704.000.000 დოლ. შემოტანილმა კი 3.095.000.000 დოლლარით. ევროპაში გაზიდულია 4.634.000.000 დოლ. ჩრდილო ამერიკაში 1.291.000.000 აზიაში 603.000.000 და სამხრეთ ამერიკაში 400.000.000 დოლარის საქონელი.

ხარჯთ აღრიცხვაში ნაჩვენებია, რომ მსოფლიო ტონნაჟმა არაჩვეულებრივ ზომებს მიაღწია, სახელდობრ 50.919.000 დიდ ტონს საზღვაო ტრანსპორტის მუშაობა ბევრად ჩამოუვარდება 1914 წლისას, კონსტრუქციის დაძველების გამო.

ამერიკულ დროშის ქვეშ 1919 წ. 30 თიბათ. დასცურავდა 12.907.000 ტონნი, რომელთაგან 6.669.000 დანიშნული იყო საგარეო ვაჭრობისთვის 2.635.000 დიდ ტბებზე და 3.601.000 სანაპირო ვაჭრობისთვის.

(„მორნ. პოსტი“).

## სომხეთი

**ჯერარდის განცხადება.**

„სომხეთის დამოუკიდებლობას ამერიკულ კომიტეტის“ თავმჯდომარემ ჯერარდმა შემდეგი განაცხადა:

„ჩვენთვის აუცილებელი არაა სომხეთის მანდატი ავიღოთ. ამერიკამ თავდაპირველად სომხეთის დამოკიდებლობა უნდა იცნოს და ხელშეკრულებათა საშვალებით მას დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ამას გარდა შეერთებულმა შტატებმა უნდა გაგზავნოს 4000 მეზღვაურებით, რომელთაც დაევალებათ რკინის გზის დაცვა შავი ზღვიდან ერევნამდი სურსათის გადატანის დროს. თუ სომხეთი შესძლებს 30,000 ჯარისკაცის შეგროვებას თავის ტერიტორიაზე და ევროპაში გაზნეულ სომეხ-მოხალისეთაგან მაშინ ის თვითონ შესძლებს ამ ჯარით თავის დაცვას, სომხები მზად არიან დედამიწის პირიდან აღიგავონ, თუ კი ისინი არ დარჩებიან, როგორც დამოუკიდებელი ერი. მათ არ ჭირდებათ მკვებავნი.

**სურსათი სომხეთისათვის.**

პოლკ. ჰასკელს განუცხადებია, რომ 40,000 ტონი ფქვილი და დიდძალი სხვა სანოვაგე, აგრეთვე ფეხსაცმელები, წამლები და სხვა მალე მოვა სომხეთში.

ცნობები არის, რომ ბათუმში უკვე მოსულა ორი მილიონი ფუთი ფქვილი სომხეთისათვის და ტანისამოსი ჯარისკაცებისთვის.

## ოსმალეთი

**შეერთებული შტატები და ოსმალეთი**

„Nev-iork-Herald“ ოსმალეთის შესახებ შემდეგს სწერს: „რადგანაც ჩვენ ოსმალეთს არ ვეომებოდით, ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ოსმალეთთან დაზავება დავაგვიანოთ. ამერიკის სენატს არავინ არ აღუჭურავს უფლებით რომ ახლო აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყანაზე მანდატი მიიღონ. ლოიდ-ჯორჯმა ეს სხვებზე უკეთ იცის.

**მუსტაფა ქემალის მკვლელობა**

„ტან“-ი იტყობინება, რომ ანატოლიაში მუსტაფა ქემალ-ფაშა მოჰკლეს

**ოსმალეთის საკითხი**

იტალიის პრესა ხაზს უსვამს მნიშვნელობას ოსმალეთის ნოტისას საზავო კონფერენციისადმი, რომლითაც ოსმალნი დიდ სახელმწიფოებს დახმარებას სთხოვენ. ამასთან აღნიშნავს რა საფრანგეთის ბეჭდვითი სიტყვის გულწრფელობას ოსმალეთის მთლიანობის დაცვის საკითხში, იტალიის პრესა ეხლა მხარს აძლევს ოსმალეთის ნოტას. იქვე პრესა აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა სხვის დაუხმარებლად უნდა გამოიჩინოს უნარი საკუთარი პროგრამის განხორციელებაში. და რომ ოსმალეთს არავითარი უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს.

**ოსმალეთი—ნეიტრალი სახელმწიფო**

დროებით ზავის კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს ლალიბ-ქემალი ბეის რომში, გაზეთ „ჟურნალ დ'იტალია“-სთვის განუცხადებია, რომ ის მომხრეა სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილი ოსმალეთის ნეიტრალიტეტისა, და რომ მაჰმადიან ბლოკის უმრავლესობისათვის ოსმალეთის მმართველობა უფრო სასურველია, ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს მანდატი.

ამავე დიპლომატს უთქვამს, თითქოს სომხები აბდულ-ჰამიდის დროს სარგებლობდნენ სრული თავისუფლებით. „ახზ.“.

**საბაჰედინის განცხადება**

საბაჰედინი შემდეგ ნაირად გამოხატავს თავის პოლიტიკურ პროგრამას. „მე მუდამ მომხრე ვიყავი ბერძნებთან მეთანხმებისა, რომელნიც ჩვენ ქვეყანაში წარმოადგენენ ყველაზე მეტს კულტურულ ელემენტს. „ითთიჰატის“ უმთავრესი შეცდომა გამოიხატება იმაში, რომ იგი არ მისდევდა ოსმალეთის სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ ძმობისა და სოლიდარობის პოლიტიკას. ჩვენი მმართველობის რეფორმების განხორციელებისათვის საჭიროა დეცენტრალიზაციის სისტემის შემოღება. ომის ცოტა ხნის წინეთ მე დეპეშით ვურჩევდი მინისტრთა თავმჯდომარეს საიდ ალიმ-ფაშას, რომ მიეღო ყოველგვარი ზომები ომის თავიდან ასაცილებლად და აშკარად დაეჭირა მეგობრული განწყობილება მოკავშირეებთან. „ითთიჰატის“ მთავრობამ ჩემ დაბეჯითებითი თხოვნაზე მოღალატედ გამომაცხადა; აგრეთვე 1912 წ. ვურჩევდი მე ქიამილ ფაშას, რომ უფრო დამთმობი პოზიცია დაეჭირა ბერძნების მიმართ. ვიცი აგრეთვე, რომ ვენიზელოსმა რამდენჯერმე სცადა შეთანხმებოდა „ითთიჰატს“, მაგრამ ყოველ-ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. საბერძნეთიან რომ ეს შეთანხმება მომხდარიყო, ოსმალეთის მომავალი სულ სხვანაირად წარიმართებოდა. (ახზ. № 16).

**უცხოელთათვის ოსმალეთში შესვლა გაძნელებულია.**

ხალხთა შეკრულების თავიდან ასაცილებლად და მცხოვრებთა ჯან-მთელობის დასაცველად, შეთანხმების უმაღლესმა კომისრებმა დაადგინეს შემდეგი 1) შავი ზღვისა და არქიპელაგის რაიონის იმ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ, რომელნიც მოგზაურობენ გემების მესამე კლასი ან ზემოსართულის ბილეთებით, სამ მოკავშირე სახელმწიფოს სამხედრო პირთა და კონსულთაგან სათანადო ნებართვის მოწმობების მიუღებლად, არ შეუძლიანთ ოსმალეთში შესვლა. 2) ოსმალეთში მესამე კლასის ან ზემოსართულის ბილეთით მომსვლელთ უნ-

და ჰქონდეთ ძლიერი მიზეზები შოსვლის და უნდა შეეძლოთ თავიანთ-თავის თავისი საშუალებებით რჩენა 3) საზღვაოსნო საზოგადოებები, რომელნიც მოიყვანენ მგზავრებს წინააღმდეგ ხსენებული ბრძანებისა, უნდა მიიღონ მგზავრობით გაწეული ზარალი.

**კლემანსო და პაპი ბოლშევიკების წინააღმდეგ**

რომის გაზეთი „I'Ossergatore Romano“ აღნიშნავს კლემანსოს შეერთებას რომის პაპთან კლერიკალურ ბრძოლის მოსაწყობად ბოლშევიკთა წინააღმდეგ. სტრასბურგში კლემანსომ სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსთა ყრილობაზე, რათა უკანასკნელმა ყურადღება მიაქციოს ბოლშევიზმს საფრანგეთში. პაპამ ურჩია საწყსოს, რათა არ მისცეს იგი პირში ბოლშევიზმს, რომელსაც ამდენი სასწაულებრივი შედეგები მოჰყვა.

გაზეთი იმედოვნებს, რომ მისი ლოცვისი მოსმენილ იქნება კაცობრიობის სასარგებლოდ“.

## რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

**ბოლშევიკური ცნობები**

**მოსკოვი.** სამხედრო ცნობები. იან. 17. ნარვის რაიონში ჩვენს მხარეზე მტრის 276 მეომარი გადმოვიდა. რეჟიცის რაიონის მთელ ფრონტზე ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. ოვრუჩისა და ნოვოგრადვოლინის რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. ელიზავეტგრადის აღმოსავლეთით სასტიკი ომი სწარმოებს. ხერსონის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ კრიკოროვი. სადგური აპოსტოლოვოს რაიონში ბრძოლა გრძელდება.

**ჰერცენის დღესასწაული პეტროგრადში.**

**პეტროგრადი.** იან. 17. იანვრის 21 გადაწყვეტილია პეტროგრადში ჰერცენის პატივსაცემლად, მისი სიკვდილის 50 წლისათვის აღსანიშნავად, დღესასწაული მოეწყოს. განზრახულია იმ ქუჩას, რომელზედაც ჰერცენი სცხოვრობდა (ნაბერეჟნაია) ჰერცენის ქუჩა უწოდონ. აგრეთვე ჰერცენის სახელი დაერქმევა მე 3 პედაგოგიურ ინსტიტუტს.

**სიკვდილის დასჯის გაუქმება.** ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ სავსებით გაიმარჯვა რუსეთის რევოლიუციის მტრებზე, სრ. რუს. ცენტ. აღმ. კომიტეტი, და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს მოისპოს სიკვდილით დასჯა. როგორც საგანგებო კომისიათა, აგრეთვე თვით უზენაესი ტრიბუნალის დადგენილებითაც. დადგენილებას ხელს აწერენ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კამენიევი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი. საგანგებო კომისიათა თავმჯდომარე მერჟინსკი და ცენტრალურ აღ. კომიტეტის მდივანი ენუქიძე.

**კარნარვოკი**, იან. 17. სტეფანის სააგენტო ლონდონიდან რომს ატყობინებს: მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: განახლდეს აღებ-მიცემობა მოკავშირეთა და საბჭოთა რუსეთის და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის. განზრახულია შეიტანონ რუსეთში ტანსაცმელი, მედიკამენტები, სამეურნეო იარაღები და სხვა საჭირო საქონლები, ნაცვლად რომლისა გამოტანილი იქნება პური და დასამუშავებელი საქონელი, რაიც რუსეთს ზედმეტი აღმოაჩნდება.

ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით ჩვენი ჯარი გადავიდა მდ. დონზე და მარიინსკის რაიონში იბრძვის. ცარიცინ-ტიხორეცკაიას რკინის გზაზე ჩვენმა ჯარმა უკუ აქცია მტერი და გადავიდა მდ. სალზე. კრასნოიარის რაიონში ჩვენ ავიღეთ ქ. კანსკი.

**მოსკოვი**, იანვ. 17. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ კომიტეტის კრება დანიშნულია 1 თებერვლისათვის ქ. მოსკოვში. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მოხსენება აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ; საერთაშორისო მდგომარეობა, ეკონომიური პოლიტიკა; საკითხი მშრომელი არმიის შესახებ და სხვა.

**მოსკოვი**, იან. 18. ნარვის უბანში ჩვენსკენ გადმოვიდა მტრის 100 ჯარისკაცი. რეჟიცის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ლეპელის მიმართულებით პოლონელთა მზვერავები გამოჩნდნენ. მოზირის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ოვრუჩის რაიონში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. ხერსონის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღო სადგური აპოსტოლოვო. პერეკოპის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფელი ალაიანი. დონის რაიონში კონსტანტინოვსკაიას სამხრეთით ჩვენი ჯარი მიიწევს დიდი და პატარა მეჩეტნაიას და ველიკოლოვსკაიასაკენ.

ნავრის მიმართულებით ჩვენს მხარეზე მტრის 290 მეომარი გადმოვიდა. რეჟიცის რაიონში ბრძოლაა. მოზირის რაიონში სადგურ ტიჩთან ბრძოლაა კამენეც-პოდოლსკის მიმართულებით ჩვენ დაბა პილიავა ავიღეთ. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ნიკოლაევსკის და კარგაისკის მტანიცობის რაიონში ჩვენი ჯარი დონზე გადასასვლელათ ბრძოლას აწარმოებს. გურიევის რაიონში ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა მეექვსე დივიზიის უფროსი და პარტიზანული რაზმი.

## რკინის გზაზე

ბათომში მომხდარ არეულობის გამო, ზოგმა საქონლის პატრონმა, რომელიც საქონელს ბათომში გზავნიდა, ითხოვეს გაჩერებიათ მათი ვაგონები სხვა სადგურებზე 3—5 დღე, თუმცა საქონლის სადგურებზე არავითარი არეულობა არ ყოფილა და მუშაობაც გრძელდება, რადგან ყველა საწყობებს და ვაგონებს იცავდა და იცავს ინგლისის ჯარი.

საქართველოს რკინის გზის სამმართველო შეუთანხმდა საბაჟო და სააქციზო უწყებას, რათა ნავთი, რომელიც იგზავნება ბათომში, ფოთში და სანაინში დღეიდან საზღვარზე არ გაისინჯოს, რისთვისაც ვაგონები დაუბრკოლებლივ უნდა წავიდეს სად. საღოლოლიდან დანიშნულებისამებრ.

# ახალი ამბები

## პარტიული ცხოვრება

**ს. ჩიბათი** (გურია) 11 იანვარს თბილისიდან ჩამოვიდა ეროვნულ დემოკრ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ბ-ნი პართენ გოთუა. მან ადგილობრივ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში, წაიკითხა მოხსენება დღევანდელ მომენტზე და ამასთანავე შეეხო ჩვენს ეკონომიურ საკითხს. ხალხი მომხსენებელს, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

## მთავრობაში

**საგარეო საქ. მინისტრთან.**

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ გეგეჭკორს წარუდგა მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ჯაბალიევი.

**მინისტრის ამხანაგთან.**

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ქარცივაძეს გუშინ წარუდგა ბათომიდან ჩამოსული სამაჰმადიანო საქართველოს მეჯლისის წევრი მ. გოგოლაძე.

**მთავრობის თავმჯდომარესთან.**

მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ჟორდანიას გუშინ წარუდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მისალოცად კონსერვატორიის დირექტორი პროფ. ჩერეპნინი და პროფ. ფალიაშვილი.

— ამავე დღეს წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს პოლონეთის რწმუნებული ბ-ნი ოსტროვსკი.

**ხან-ხოილის ჩამოსვლა.**

იანვრის 19-ს საღამოის მატარებლით ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხან ხოილი.

**ჩარლზ-მოზერის ჩამოსვლა.**

იანვრის 19-ს ამერიკიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკის გენერალური კონსული ჩარლზ-მოზერი.

## შინ. საქმ. სამინისტროში

**ციხის უფროსის დაპატიმრება.**

საქართველოს რესპუბლიკის ციხეთა ინსპექტორი ყუფიანი ახალციხიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით ატყობინებს, რომ მისი განკარგულებით დააპატიმრეს და თბილისში ციხეში მოსათავსებლად გამოგზავნეს ახალციხის ციხის უფროსი ჩიქოვანი.

## მიწ.-მოქმ. სამინისტროში

**საერობო აგრონომთა ყრილობა.**

იანვრის 25 ს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე გაიხსნება რესპუბლიკის საერობო აგრონომთა ყრილობა.

**სათესლე ხორბლეულობის დასამზადებლად.**

იანვრის 1-დან მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან დაარსდა სპეციალური განყოფილება სათესლე ხორბლეულობის დასამზადებლად. ხსენებულ განყოფილებაში შედიან მიწათ-მოქმედების სამინისტროდან, ლომაური, მომარაგების სამინისტროდან ლ. ავალიშვილი, კოოპერატივთა კავშირიდან წერეთელი.

## სხვა და სხვა ამბები

**ბოლშევიკები ბათომში**

ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ რომ ბათომში ბლომად დაგროვილან ბოლშევიკები რომელნიც თავისებურ პროპაგანდას ეწევიან ანტანტის წინააღმდეგ. იქვე ჩამოსულა ცნობილი თავის მოქმედებით სოხუმის ოლქში ლაკობა, რომელიც „თავის საქმეს“ შესდგომია.

**„ცენტრო-ბანკის“ საქმეები**

ახალი ბანკის „ცენტრო-ბანკის“ საორგანიზაციო საქმეები და წინასწარი საქმეების მოგვარება კოსმოსის მხრივ მინდობილი აქვს ნიკო თავდგირიძეს.

**საშუამავლო კანტორა**

თბილისში ამ დღეებში გაიხსნება ახალი საშუამავლო კანტორა „კავკასია-ევროპა“ რომლის მიზანია კავკასია ევროპის შუა ეკონომიურ კავშირის დამყარება-განმტკიცება.

**მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობა.**

დღეს 21 იანვარს სახალხო სახლში დილის 10 საათზე გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მეცხვარე მესაქონლეთა პირველი ყრილობა, საქართველოს ყველა კუთხიდან უკვე ჩამოვიდნენ დელეგატები ყრილობაზე დასასწრებლად.

**წერა-კითხვის საზ.**

გამგეობამ თვის უკანასკნელ სხდომაზე 19 იანვარს დაადგინა ეთხოვოს მთავრობას რომ მან გაიღოს 5 მილიონიანი სესხი 3 წლის ვადით. ეს ფული მას სჭირდება დედა-ენის და ბუნების კარის გამოსაცემ ქაღალდის შესაძენად, ხოლო ნაწილი სხვა სახელმძღვანელოების და საბავშვო წიგნების გამოსაცემად. ქაღალდი აქვს მომარაგების სამინისტროს მაგრამ იგი კრედიტს ვერ ახერხებს გაუხსნას ვინაიდან ამ სამინისტროს თანხები განსაზღვრულია მხოლოდ სასურსათო საქმისათვის.

— წერა-კითხვის წიგნის და საკანცელარიო მაღაზია გადავიდა ახალ ბინაზე სასტუმრო „ორიანტი“-ს ქვეშ.

**ქართული შრიფტი.**

კვირას 19 იანვარს სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში თ. კიკვაძის თავმჯდომარეობით შესდგა მრავალ რიცხოვანი კრება ქართულ შრიფტის შესწორებელ მცირე კომისიისა. კრებამ ფრიად საგულისხმიერო მოხსენება მოისმინა კომისიისა... თანახმად მოხსენებისა დღემდის ქართულ შრიფტს ცენტი, ანუ შუა ადგილი არ ჰქონია ეხლა კი გადაწყვეტილია რომ ექნება ქართულ შრიფტს შუა წელი დასაყრდნობი.

ქართულ შრიფტის ნაკლი არა პროპორციული მაღლა და დაბლა აცილებულია. დაცული იქნება პროპორცია. ცენტრ ზევით ერთი ნახ. ცენტრ ქვეით მეორე, ხოლო მეორე ნიმუშით 3/4 ცენტრ ზეით და 3/4 ცენტრ ქვევით.

სიმეტრია რომელიც დღემდე არ იყო დაცული მაგ. „ინს“ ეჭირა სამ ჯერ ნაკლები ადგილი რაც ასო „ლას“ თანახმად მოხსენებისა შესწორებულია. ყველა ეს ასოები იქნებიან ერთი საგნისა და სუყველა ასო მოთავსებულია ერთ კვადრატში. ეს გარემოება კი მეტად საგულისხმიეროა, ვინაიდან ისეთი სიმეტრია შეიქმნა, რაც არც ერთ ევროპიულ შრიფტს არა აქვს ჯერედ. ამ პროექტითვე განმარტივდა ზოგიერთი რთული ასოები მაგალითად ასოები „რაე“, „ლასი“, „ტარი“ და სხვ.

პროპორციისა და სიმეტრიის დაცვის შემდეგ ქართული შრიფტი გახდა ძლიერ ეკონომიური.

პედაგოგიური თვალსაზრისით ახალი პროექტი შეადგენს დიდ წინსვლას და იდეალისადმი მიახლოვებას.

კრებამ ერთხმად მოიწონა მცირე კომისიის მოხსენება და შრიფტის ნიმუშები დაევალა მხატვარ შევარდნაძეს საბოლოო რედაქცია გაუკეთოს და დახატოს ეს შრიფტები და უკანასკნელი გეგმა ამ შრიფტებისა წარმოუდგინოს მომავალ კრებას რომელიც დანიშნულია კვირას 27 იანვარს.

## სახელმწ. უნივერსიტეტში

**სტუდენტის დღე**

იანვრის 26-ს პირველ ქართულ უნივერსიტეტის გახსნის დღე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა მსრთავს სტუდენტის დღეს. ამ დღეს გაიმართება საღამო სხ. და სხ. ადგილას, გამოვა საგანგებო ჟურნალი ამ დღისათვის.

სტუდენტის დღე გაიმართება პროვინციებშიაც.

**ილია, აკაკის საფლავებზე.**

კვირას იანვრის 18-ს დილის 11 საათზე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მამა დავითის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავად. წირავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე.

პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.—დაესწრნენ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა და სხვა. კულტურულ და პოლიტიკურ ორგანიზაციის წარმომადგენელნი. ხსენებულ პირთა საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს დუტუ მეგრელმა, ა. პაპავამ და ვან. კოტეტიშვილმა.

**სწავლის ფულის მომატება.**

სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო გადასახადი ამ სექტემბრიდან 300 მანეთამდე გაადიდეს.

**ტ. მარგველაშვილის ლექციები.**

ამ მოკლე ხანში სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ დემოკრატ-სტუდენტთა, და ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტი გამართავს მთელ რიგს ტიტე მარგველაშვილის ლექციებისას—პირველი ლექციას წაიკითხავს თბილისში შემდეგ პროვინციებში. ლექციების შემდეგ გაიმართება კამათი.

**ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლები**

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში (30 იანვ.) მიემგზავრებიან უკანვე აღმოსავლეთ ქვეყნებში. ვისაც სურთ წერილი მიაწოდონ იქ მცხოვრებ (ციმბირში, მანჯურიაში, ჩინეთში და იაპონიაში) ნათესავებ-ნაცნობებს, ან სხვა რაიმე დავალება აქვთ ამ ქვეყნებში—შეუძლიან მიმართონ ან წერილი გადასცენ დელეგატს დავით ივ. როსტომაშვილს, თუმანოვის შესახვევი, № 24, პირადათ, 3—6 ს. შუადღის შემდეგ და ერმილე სიმ. ხავთასი, რუსთაველის ქ. № 1.

## თეატრი

**დღეს:**

**სახელმწიფო თეატრი.** „ბოჰემა“, „ქართო“-ს დრამა. „ოკეანეს გადაღმა“.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. ბათომი

ამას წინად რკინის გზის სადგურზე ძლიერი ჩხრეკა იყო საქართველოდან მომავალ მგზავრებისა. მგზავრებს რომელთაც ხუთი ათას მანეთზე მეტი აღმოაჩნდათ ჩამოართვეს.

— იანვრის 16-ს ათასი მანეთი ქართული ფული დონის ფულზე 3,300—3,500 მანეთად იყიდებოდა.

### ს. შაუმიანი.

ადგილობრივ ყაჩაღთა თავხედობამ იქამდის მიაღწია, რომ მათ საშობაოდ „ალილოზე“ ჩამოიარეს.

### ს. ქვემო-ხანდაკი.

ს. ქვემო-ხანდაკის მინდვრებში დიდძალი თაგვია გაჩენილი, რაც მოსავალს დიდ საფრთხეს უმზადებს.

## ბრძანება

**სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილების მიმართ № 2.**

12 იანვარი 1920 წ.

ქ. თბილისი.

31.

აღსრულდა ის, რაზედაც ას რვა მეტი წლის განმავალობაში ოცნებობდა ჩვენი ერი. აღსრულდა ის, რისთვისაც ჩვენ თავგანწირულად ვმუშაობდით ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

ამიერიდან ჩვენი სამშობლო, საქართველო, თავისუფალი რესპუბლიკა არის.

დიდმა კულტურულმა ევროპამ შექმნა აქ ხიდი, რომელზედაც უნდა გაიაროს და გავრცელდეს აზიაში ევროპის კულტურა.

თქვენ, ჩემო თანამშრომელნო,—გენერალური შტაბის სამსახურში, კარგად იცით თუ რა დიდძალი მტრები ყავს ამ ხიდს, როგორც ჩრდილოეთიდან ისე სამხრეთიდან.

ჩვენი ჯარის მოვალეობაა ეს ხიდი დაიცვას და ამით მოუტანოს კაცობრიობის კულტურას დაუფასებელი სარგებლობა.

გილოცავთ რა ამ ფრიად მნიშვნელოვან და ჩვენთვის საამაყო გარემოებას, მოგიწოდებთ გაათკეცოთ თქვენი მუშაობა, რათა ჩვენმა გასალკლდევებულმა ჯარმა პირნათლად შესძლოს ამ წმინდა მოვალეობის ასრულება.

დედანზე ხელს აწერს გენერალური შტაბის გენერალი ზაქარიაძე.

## ბათუმის პორტში

ამ დღეებში საზღვარ-გარეთიდან ბათუმში მოვიდა რუს. საზ. გემი „ათონი“, რომელმაც ბათუმში მოიტანა შემდეგი საქონელი: მანუფაქტურა 8900 კ., 3800 კ. პაპიროსის ქაღალდი. 16000 კ. ცარიელი რკინის ბოჭკები, 600 კ. სააფთიაქო საქონელი, 120 კ. კრუპაო, 29000 კ. ტყავი, 400 კ. ავტომობილის შინები, 5000 კ. შაქარი, 3000 კ. გაზეთის ქაღალდი, 8500 კ. ჩაი, 550 კ. გლიცერინი, 300 კ. წიგნი, 1050 კ. ცარიელი ტომრები, 760 ფუთი წამალი, 500 კ. პაპიროსის ქაღალდი, 6000 კ. შემოსახვევი ქაღალდი, 500 კ. კალა, 200 კ. სხვა და სხვა ჭურჭლეულობა, 2300 კ. რკინა, 18000 კ. კარდონის ქაღალდი და სხ.

გემ „ოლიმპიადით“ ბათუმში მოიტანეს ჩაი 1000 კ., ქაღალდი 39500 კ., კალოში 12000 კ., ფხვნილი შაქარი 5000 კ., საპონი 1750 კ., ცარიელი ტომრები 15500 კ., ცინკის ფურცელი და კალა 2700 კილო, ალკოგოლი 6420 კ., მანუფაქტურა 19700 კ., შეკერილი ტანისამოსები 2330 კილო, ასანთი 42000 კილო, პაპიროსის ქაღალდი 4800 კილო, თეთრი ქესტი 68 ფუთი, რკო 2500 კილო და კონიაკი 95000 კილო.

ამ დღეებში გემ „ფოთი“-თ სოხუმიდან ბათუმში მოიტანეს დიდძალი თამბაქო.

## აბრეშუმის მოსალოდნელ მონოპოლიის შემოღების გამო

1892 წლამდე საქართველოში მეაბრეშუმეობა კანტი-კუნტად სწარმოებდა, მიუხედავად იმისა, რომ თუთის ხე ყველგან ბლომად მოიპოვებოდა. 1892 წლიდან კი აბრეშუმის წარმოებამ ფართო ხასიათი მიიღო. პირველ წლებში მწარმოებელნი პრიმიტიულ საშუალებით ახვევდნენ მას და ისე ჰყიდნენ ბაზარზე, შემდეგ აქა-იქ ვაჭარ-მწარმოებლებმა პარკის საშრობი ფარდულები ააგეს და პარკით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. მაშინ ფუთი ნედლი პარკი 10-12 მანეთად იყიდებოდა და შემდეგ გაშრობისა 50—80 მ. ხშირად ვაჭრები 30—50 პროც. მოგებას იღებდნენ, ასეთი გარემოება, რასაკვირველია, სოფლის მეაბრეშუმეები დიდად დააინტერესა, ზოგ ადგილას (ხონსა, სამეგრელოსა და გურიაში) მრეწველები, თუ ვაჭრები ცალცალკე ამხანაგებად შეერთდნენ, ააგეს ფარდულები საკუთარ საშუალებით გააშრეს პარკი და თუ პირადად ვერ შესძლეს საზღვარ-გარეთ მისი გატანა, თავი მაინც დააღწიეს ადგილობრივ ჩარჩებს შემდეგ მსხვილ ამხანაგობაც გაჩაღდა, მაგ. ხონში გახსნეს აბრეშუმის საქსოვი ქარხანაც. მალე ეს ხელობა ჩვეულებად მიიღეს. მეგრელი, ხონელი, თუ გურული გლეხის ქალები იმდენ პარკს იწევდნენ, რომ თავის ჯალაბობას ჰმოსავდნენ და ზედ-მეტი გასათხოვარ ქალის საშზითო ფულებსაც კი აგროვებდნენ, მაგრამ დღეს? დღეს როცა 100 მანეთზე მეტად ფასობს არშინი უბრალო თხელი ნარმა, ფუჭია მისი შრომა, ვინაიდან ერობა ართმევს მას, მაგ. ოზურგეთში ერთი ფუთი ნედლი პარკი 833 მანეთად ჩამოურთმევიათ, ხოლო ხონში ფუთი გამხმარი პარკი სამტრედიაში სიხარულიძის საწყობში მიტანით 1500-დან 1800 მანეთად ჩამოურთმევიათ. ახლა ვიკითხოთ, თუ ის ერთი ფუთი პარკის ფასით, ე. ი. 12 მან. იყიდიდა 120 არშინ ნარმას, დღეს ერობიდან მიღებულ 500 მ., რამდენ არშინს იყიდის?

მეორე საკითხი: სოფლის მწარმოებელს რამდენი ფუთი პარკის მოწევა შეუძლიან წელიწადში? რასაკვირველია ხუთისა, თუ მას დიდი სახლი აქვს და თუთის ხეებიც ბლომად უდგას (ერთი ფუთი პარკის მომცემ ჭიას არა ნაკლები 20 ძირი თუთის ხის ფურცელი უნდა, ხოლო ერთი ძირი თუთის ხის ფურცელი 20 30 მანეთამდე ფასობს), ეს ხუთი ფუთი მიჰყიდა მან ერობას 500 მ. $\times$ 5 $=$ 2500 მანეთად, ახლა გამოვაკლოთ ამას 100 ძირი თუთის ფურცლის ფასიც, 100 $\times$ 20 $=$ 2000 მან., 2500 მან.—2000 $=$ 500 მანეთი, გარდა შრომისა და ორი თვეს სახლიდან გარედ გახიზვნისა (იმ სახლში, სადაც აბრეშუმის ჭია ბუდობს იქ ადამიანს არ ეცხოვრება, ვინაიდან ჭიას, როგორც ლამე სინათლე, აგრეთვე კვამლიც ძალზე ვნებს). მაშასადამე მეაბრეშუმეს დარჩა 500 მანეთი მოგება, ამით რამდენ არშინ ნარმას იყიდის? 4 არშინს, ამისთვის სოფლის მრეწველი თავს არ შეიწუხებს, უფრო ეხლა, ის მეაბრეშუმეობაზე სულ ხელს აიღებს: რაც უეჭველია დიდ ზარალს მოუტანს ჩვენს ახალგაზდა სახელმწიფოს. მაგ. მეაბრეშუმეებს სოფლებში, რომ გაუგიათ ჩალის ფასად გვართმევენ პარკსო, შიშით მეტი წილი პარკისა ძაფებათ ამოუღიათ. როცა მე ამასა ვწერდი აზრად ის კი არ მქონდა მეთქვა, რომ მთავრობამ მაინც და მაინც სრულიად ხელი აიღოს მონოპოლიიდან მეთქი, მე ვამბობ რომ შეუფარდოს მეაბრეშუმე გლეხის შრომა ცოტათი მაინც მისთვის (გლეხისათვის) საჭირო მასალის ფასს.

ახლა გადავიდეთ აბრეშუმის თესლის მონოპოლიაზე: წინეთ ომის დაწყებამდე აბრეშუმის თესლის 90—95 პროც. შემოდიოდა საზღვარ გარეთიდან, რომლის უმეტესი ნაწილი ბაზარზე უკონტროლოდ გამოდიოდა, მაგრამ ხალხმა იცოდა ვისი ფირმის თესლი იყო კარგი და ისიც მას ყიდულობდა და მართლაც ხალხის მიერ ნდობათ აღჭურვილ ფირმას, თავისი საქმისათვის არასოდეს არ უღალატია, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ კი თესლს თბილისის აბრეშუმის სადგური გიორგობისთვიდან 1 მარტამდე იწერდა და ხალხს თავის დროზედ აწვდიდა მას, მაგრამ 1919 წელს კი ჩვენი მთავრობის წარმომადგენელმა თესლი იმ დროს მოიტანა, როცა ის უკვე იწყებდა გაცოცხლებას, ამის გამო რამდენიმე ათასი კოლოფი თესლი დაღუპულა თურმე ბათომში და თბილისში და ხალხს, ნაცვლად სამი მანეთისა კოლოფი 100 მანეთად შეუძენიათ და ისიც სომხის ჩარჩებისაგან ჩუმად შემოტანილი, რომლის გამო ბევრს ორი თვის შრომა და ხარჯი უბრალოთ დაეკარგათ, ვინაიდან თესლის უვარგისობით მესამე კანში ამოსული ჭია პარკის გასაკეთებლად არ ავიდა, ამის მიხედვით მთავრობამ თუ აბრეშუმის თესლის მონოპოლია გამოაცხადა, იმ შემთხვევაში, ის დარწმუნებული უნდა იყოს რომ მას 1920 წელსაც 1919 წლის ბედი ეწვევა, ვინაიდან მოხელენი მოსაზრებას ვერ მოიშლიან და საქმეს კუს ნაბიჯის სისწრაფით აწარმოებენ და ესეც რომ არ იყოს გაჩნდება ერობების მოხელეებში ნათლმამობა და მეტიც, რაც უეჭველია მეაბრეშუმეთა საქმეს საქართველოში საგრძნობლად შეაფერხებს, ამიტომ საჭიროა შემოტანილი თესლი ნატანებშივე შემოწმდეს ხალხში კანონიერ და მიუდგომელ სინიდისით და მასთან დიდი კონტროლის ქვეშ დანაწილდეს.

ქ. მარტვილელი.

## პატარა ფელეტონი

### განდეგილი

(აპოკრიფული ამბავი)

(აკაკის დაუბეჭდავი ლექსი *)

უდაბნოში განდეგილი
სულის საქმეს შესდგომოდა,
საამქვეყნო, საპირადო
„ვარხალალო“ არ ესმოდა.

—

მისი ქვეყნის ავსა და კარგს
იგონებდა... გულში ჰკრეფდა,
და შემოქმედს მუხლ-მოდრეკით
წრფელის გულით ავედრებდა.

—

„ეს ქვეყანა ცოცხალ-მკვდარი
დღეს რომ ქედი მოუხრია,
უბიწო და უგინებელ,
თვით ქალწულის წილ-ხვედრია.

—

„მართალია, დღეს ჯოჯოხეთს
თავისაკენ მიუმხრია,
მაგრამ ადრე, ვით მოწამეს
შენთვის სისხლი დაუღვრია.

—

„ნუ ამხილებ გულის-წყრომით
მოიბრუნე მადლით გული...
შეუნდე მას შეცოდება!..
მიანიჭე სინანული!!..

—

„და თუ მსხვერპლი-საჭიროა,
ვითა წვლილი ქვრივის მცირე,
ნუ განმაგდებ!.. სხვაზედ უმალ
მიმიღე და შემიწირე!..“

—

ამ სიტყვებით გამოსთქვამდა,
ტკბილ სურვილს და მწარ გულისთქმას
და ცრემლებსაც ასხურებდა
ზედ, ვით წმინდა აიაზმას!

—

ესმა უფალს ხმა ცოდვილის,
შეიწირა სამსახური!..
განდეგილის ალსარებას
ქვეყანამაც მოკრა ყური.

—

სთქვა: ეს კაცი ცოდვილთათვის
ეგებ-წინა მორბედია?!..
და მაგის შორს—მჭვრეტელობა
მადლით ქვემო, ორბედია!!..

—

*) ეს ლექსი დედნიდან გადმოღებულია ნების ამსრულებელი ბ. კოტე აბდუშელიშვილის მიერ. რედ.

ჩაგულისხმდა, გამოერკვა,
მოაგონდა წინა-პარი
რომ თავს სდებდა ქვეყნისათვის
და იწოდა ვით ლამპარი.

განიზრახა კრინი მოძღვრის,
მიბაძვა და მიმდევრობა;
შეიჩვენა ძალი ქვეყნის?..
აღიარა ზესთ—მთავრობა!!..

ამ ამბავმა ჯოჯოხეთი
ააშფოთა!.. შავად ჰღელავს!
თვით სატანა ცეცხლის მფრქვევი,
შესაზარად ჰქუხს და ღელავს.

მის წინ დგანან მოწიწებით
წვრილ-ფეხობა ეშმაკები;
ჰკანკალებენ უთრთის ყველას
კუდ-ბრჭყალები, ნისკარტ-რქები!..

„ვერა ჰხედავთ—სთქვა—განდეგილს,
ქვეყანათ წინ რომ მელოზება!?
ლამის ლოცვით შეარყიოს
ჩემი ძალა—მეუფება!..

„რაღას უცდით? ადრე თუ სხვაც
დაგილუპავსთ—მაგისთანა,
ჩემი რჩევა და ბრძანება
გეჭირვებათ კიდევ განა?

„შეიცვალეთ სულ სხვა და სხვად:
ჭიათ, მატლათ, ბაყაყ-გველად,
ბუზათ, ჭეპლათ, ჭია მყრალად,
ბაღლინჯოთ და მორიელათ!..

„მიესიეთ ყველა ერთათ!
ნუ მისცემთ მას მოსვენებას!?
გაჭირვება დაავიწყებს
ქვეყნის ვალს და ზეცის მცნებას“.

აასრულა წვრილფეხობამ
ბნელ მთავრობის სურვილ-ნება
და მისცვინდნენ საწყალ მლოცველთ,
რომ არ მისცენ მოსვენება.

პირში მყოფმა ღმერთს შეჰვედრა:
„თუ ეს შენი არის ნება,
შენვე მომეც მეც, უფალო,
იობისა მოთმინება!“

ჰკბენენ, სჩხვლეტენ, გესლს ანთხევენ,
ჰაერს ბილწავს ჭია-მყრალა,
მაგრამ ვერ სჭრის ძველებურათ
უკულმართი მათი ძალა.

იქვე ახლოს, უჩინარათ,
სხივ-მოსილი იდგა ქალი.
განდეგილის მფარველ-მცველი,
ალმგზნებელი იდიალი!..

მოახსენეს უფროს ბატონს:
„დიდებულო სატანაო!
ვერას გავხდით!.. მან შეიძლო
გაჭირვების ატანაო!“...

იუცხოვა ეს ამბავი
ჯოჯოხეთის ბობოლასა;
ვერ იტანდა ძველი ძალის
ის ხელიდან გამოცლასა.

კვალად ჰბრძანა: „უარს ვერ ვყოფ
მე მაინც ჩემს საწადელსო.
და თქვენც გირჩევთ, ნუ დააგდებთ
თქვენს საქმეს და საცადელსო!..

თუ პირადად მას ვერ ავნებთ,
სხვებს ხომ მაინც მოსჭრით თვალსო?!
შეაშინებთ, რომ ვერ მიჰყვენ
განდეგილის გზას და კვალსო!“

ეს ბრძანება, სულ ახალი,
ხელთ უპყრიათ ეშმაკებსო,
და ვაი მას, ვინც სატანას
არ ადიდებს!.. არ აქებსო!!..

აკაკი.

1897 წ.

## მასწავლებელთა ყრილობა

მეოთხე დღე.

თავმჯდომარეობს ალ. მდივანი.

გრძელდება ადგილებიდან მოხსენებები. **კიკვაძე.** (რაჭის მაზ.) რაჭის მაზრაში სამსახურს რიგიანი მასწავლებლები გაურბიან ახლად დანიშნული მასწავლებლები ოდნავადაც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. სკოლები მოუწყობელია. მასწავლებლებს ხშირად უხდებათ 2—3 განყოფილებასთან მეცადინეობა. ინსტრუქტორი გვიან დაენიშნათ.

**ჩიქოვანი.** (ბათუმი) ბათუმში არსებობს ორი დაწყებითი და ერთი წ. კ. გ. ს. სკოლა. არ არსებობს მასწავლებელთა კავშირი. ოსმალეთის შემოსევისას სკოლები განადგურდნენ. გიმნაზია უმწეო მდგომარეობაშია ვინაიდან მას ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ვერც მთავრობა და ვერც ადგილობრივი საზოგადოება. ამ ჟამად სწავლის მსურველნი ბევრია, მხოლოდ დაკმაყოფილება ძნელია შესაფერ ბინის უქონლობით სახელმძღვანელოების და სხვა სასკოლო საგნების შეძენა შეუძლებელია განსაკუთრებულ სიძვირის გამო გიმნაზიაში სწავლობენ მაჰმადიანებიც.

**ქობულია.** (ზუგ. მაზ.) მაზრაში არსებობს 100 დაწყ. სკოლა. 1918 წ. ფილიალები იყვნენ შეუკავშირებელი. 1919 წ. შეკავშირდნენ სამაზრო კავშირში. ვინაიდან გამგეობა ცენტრში სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებდა მუშაობას, იძულებული გავხდით გადაგვეტანა დაბაში. მაზრის ერობასთან კავშირი კონტაქტით მუშაობს.

**მუავანაძე.** (ქ. ფოთი) ქალაქში არსებობს 8 დაწყებითი სასწავლებელი და ერთი უმაღლესი აგრონომიულ განყოფილებით. არსებობს ფილიალი, რომელშიც შედიან ყველა ტიპის მასწავლებლები. ქალაქს არა ყავს განსაკუთრებული ინსტრუქტორი. კავშირმა საპედაგოგიო კურსები დაარსა.

**სამსონიძე.** (ფოთ. სახ სასწ.) მომხსენებელი შეეხო ფოთის, ბორჯომის და ხონის სახელოსნო სასწავლებლების მდგომარეობას და აღნიშნა ამ სასწავლებლების განსაკუთრებული მდგომარეობა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობა მეტ ყურადღებას აქცევს სატეხნიკო საპროფესიო განათლებას, ხსენებულ სასწავლებლებში დღემდისაც საქმე ვერ არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე.

**ნ. ძიძიგური.** (რკინ. გზ. სკოლა) რკინის გზის მასწავლებლების მდგომარეობა შედარებით უკეთესია ერობის მასწავლებლებზე. დაცულია უფლებრივი და ეკონომიური ინტერესები. სკოლები გაეროვნებულია. მთელ ხაზზე ითვლება 200-მდე სკოლა, თითო მასწავლებელს ყავს არა უმეტეს 40 მოწაფისა. ჯამაგირებს იღებენ თავის დროზე. ეძლევათ გირვანქა პური 3 მან. კონფერენციაზე რკ. გზ. მასწავლებლობა მოითხოვს ერთ ადგილს.

**ლუდუშაური.** (თელ მაზრა). მაზრაში არის 41 დაწყ. სასწავლებელი. მასწავლებელთა რიცხვი—112 კავშირში შედიან, როგორც ქალაქის, ისე მაზრის მასწავლებლები. სამაზრო ერობასთან დაარსებულია სასკოლო საბჭო, რომელიც განაგებს სასკოლო საქმეებს. საბჭომ მოაწყო ხატვა-ძერწვის კურსები. ერობა აძლევს მასწავლებლებს 2 ფუთ პურს და 1 ფუთ სიმინდს თვეში უფასოდ.

**პატარაშვილი.** (გორის მაზ.) აღნიშნავს სკოლის ცხოვრებაში ორ მომენტს: ძველი სახ. ინსპექტორების და ერობის ხანებს და დაასკვნის, რომ პირველი ხანას სკოლებისათვის არაფერი თვალსაჩინო არ დაუტოვებია, სამაგიეროდ ენერგიულ სასკოლო განყოფილების გამგის წყალობით მაზრაში გაიხსნა 47 ახალი სკოლა. მასწავლებლები უზრუნველყოფილია ნივთიერად ძველი ინსპექტორების მიერ გაბნეული დოკუმენტების წყალობით მასწავლებლებს უფერხდებათ ხუთ წლეულების მიღება.

**კობიაშვილი.** (დუშ. მაზ.) დუშეთის მაზრაში არსებობს 35 სკოლა, მხოლოდ ყველა ეს სასწავლებლები არსებობენ ქაღალდზე. დანიშნული მასწ. ოდნავადაც ვერ დგანან თავის სიმაღლეზე, სანახევროდ მათ სკოლებშიც ვერ ნახავს კაცი მომხსენებელი დაასკვნის, რომ ბოლშევიკებმა სავსებით გაანადგურეს სკოლების ინვენტარი, თუმცა ერობა იღებს ენერგიულ ღონისძიებას სკოლების შესაკეთებლად, მაგრამ დიდ იმედის დამყარება შეუძლებელია, რომ ამ მოკლე ხანში სწავლა-განათლების საქმე რიგიანად მოეწყოს დუშეთის მაზრაში.

**ყაზბეგი** (სიღნ. მაზ.) მაზრაში ითვლება 100-დე დაწყებითი სკოლა. სკოლები მოუწყობელია, ბინები უვარგისია. რიგიანი მასწავლებლები არ მოდიან, კავშირი არსებობს, მაგრამ სისტემატიურად ვერ იკრიბება ფილიალების სიშორის გამო. ერობა თავის დროზე ჯამაგირებს არ იძლევა.

**ია კარგარეთელი** (თბ. სას. გალობ. მასწ.) მოიხსენებელმა წარმოსთქვა ლამაზი სიტყვა სკოლებში გალობის საჭიროებაზე და ითხოვა ყრილობას გამოეთქვა თავისი აზრი ამის შესახებ. ასეთ საყურადღებო მოხსენებისათვის ყრილობამ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა.

**ვ. ზურჯანაძე** (ახალქალ. და ბორჩალ. მაზრა) მესხეთ-ჯავახეთში დღემდე არ იყო ფილიალი. ის იქ ეხლა ეწყობა, ბორჩალოს მაზრაში არის 5 დაწყ. სასწავლებელი, მაზრაში არის 12 ქართული სოფელი, სადაც შეიძლება გაიხსნა სკოლები, მაგრამ დღემდისაც ვერ ვიშოვეთ იმ მაზრისათვის მასწავლებლები, მიუხედავად იმისა, რომ სანოვაგის მხრით იქ სამსახური გაცილებით უკეთესია. ამ მაზრიდან წარმომადგენელი არ არის.

**ქადაგიძე.** თუშ-ფშავ-ხევსურეთში არსებობს სამიოდე სკოლა, სადაც არასოდეს არ არის ნორმალური მეცადინეობა, მას უხდება ლაპარაკი არა იმაზე, რაც არსებობს, არამედ რაც არ არსებობს. ეს მხარე თავის მსოფლმხედველობით, ზნე-ჩვეულებით და ჩაცმა-დახურვით სრულებით არ გავს ბარ საქართველოს. ადამიანს ასე ეგონება, თითქოს ეს ხალხი მხოლოდ საქართველოს ბუნებრივ სიმაგრის დასაცავად იყვნენ შეხიზნულნი ძველად და ახლა მთებში არავითარი თანამედროვე კულტურის ნასახიდამ ხალხში დღემდე არ არის შესული და საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ მხარეს.

**ნ. ნაკაშიძე.** „ნაკადული“-ს რედაქტორი კითხულობს ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენებას საბავშვო გამოცემლობაზე, რომელიც ყრილობამ სავსებით გაიზიარა და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

**გ. ჭუმბურიძე.** (დაბ. სკ. მთავ. გამ.) მომხსენებელი ეხება აფხაზეთ-სამურზ. და მესხეთ-ჯავახეთის მაზრებს, საიდანაც წარმომადგენელი ყრილობაზე არ გამოცხადებულა. აფხაზეთ-სამურზაყანოში არსებობს 135 დაწყებითი სკოლა. ახალციხეში 5, ხოლო მაზრაში კი 6, ეხლა გაიხსნა 2. სკოლები არის ქართული, თათრული და სომხური. უფრო ნაკლები სკოლების რიცხვი ახალქალაქის მაზრაშია. ამას გარდა მომხსენებელი ეხება ერობის დამოკიდებულებას სკოლებთან. ის ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება ერობებზე ბევრი საყვედურის თქმა, ვინაიდან თვით ეს ერობებიც ჯერ-ჯერობით ვერ არიან რიგიანად განმტკიცებულნი. აღნიშნავს აგრეთვე მთავრობის ნამოქმედარს სწავლა-აღზრდის საქმეში. დაბალი და უმაღლესი სკოლები გადასცა თავის კრედიტებით თვითმმართველობებს. სკოლები გააეროვნა, გამოსცა დროებითი პროგრამები, დაუმტკიცებელ უმაღლეს სასწ. მასწავლებლების შესახებ მომხსენებელი განმარტავს, რომ ამის მიზეზი არის მათი მოუმზადებლობა იმ სკოლებისათვისო საერთოდ სკოლების მდგომარეობა, თუ შევადარებთ 1917, 18 და 19 წლ-ს, ბევრად გაუმჯობესებულია. ამის შემდეგ მოხსენებები ადგილებიდან დამთავრდა და ყრილობამ აირჩია 5 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ღირსშესანიშნავ მოხსენების შესახებ შესაფერი რეზოლიუციების გამოტანა.

## ფოსტა-ტელეგრაფის გაეროვნება

(დასასრული)

რუსულ ენაზე რისამე დასახელებლად ბევრი ისეთი სიტყვებია შემოღებული, რომ ერთი და იგივე სიტყვა თუმცა ერთნაირად იწერება, მნიშვნელობა კი სხვა და სხვა აქვს. მაგალითად: „პერევოდ“. „ია ხოჩუ სდელატ პერევოდ დენეგ“, სულ სხვა აზრს გამოსთქვამს, ხოლო „ია ხოჩუ სდელატ პერევოდ ს რუსკავო ნა გრუზინსკი“ სულ სხვა აზრს. ამიტომ უწყებათა გადაქართულებაში და სპეციალურ სიტყვების გამოძებნაში ფრიად დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ სასაცილო და არა გამოვიდეს-რა. თუ პირდაპირ თარგმნას მივყვებით, მაშინ უაზრობა გამოვა. მაგალითად, როგორ უნდა ითქვას ქართულად „პრობა ლინი“.? ჩუბინაშვილის ლექსიკონში „პრობა“ ნათარგმნია „ჰაშნიკი“. ჰაშნიკი-კი ქართულად ნიშნავს ღვინის ნიმუშს. ასე რომ „პრობა ლინიი“ რო ამ სიტყვით გადავთარგმნოთ გამოვა „ხაზის ჰაშნიკი“! ეს უაზრობა იქნება. მაშასადამე ამ გვარ აზრების გამოსათქმელად შესაფერისი რამ უნდა გამოიძებნოს. ჩემის აზრით „პრობა ლინიი“ ქართულად უნდა ითქვას „ლარის ცდა“. მე ვფიქრობ, რომ „ლარი“ უფრო შესაფერისი სახელი უნდა იყოს ქართულად, ვიდრე „ხაზი“ ან „ნამბი“, იმიტომ რომ მავთული ერთი ქალაქიდან მეორემდის ისევეა გაბმულ-გაჭიმული, როგორც გაიბმება ხოლმე ლარი მიწის ზომვის დროს, კედლების აშენების დროს და სხ. აი რკინის გზაზე, რაზედაც მატარებლები დადიან, იმ წყვილად გაწყობილ რელსებს დაარქვეს „ლიანდაგი“. საიდან ბიღეს ეს სიტყვა? აი საიდან: როცა საბნებს ან ტანისამოსს ჰკერავენ, ჯერ დალიანდაგებენ ხოლმე, ე. ი. რამოდენიმე რიგს ძაფით გაუვლ-გამოუვლიან, რომ შუაში დატანებული მატყლი ან ბამბა არ წავიდ-წამოვიდეს და ალაგ-ალაგ არ შეკუმშდეს, აქა-იქ არ მოგროვდეს; ეს ლიანდაგები ერთმანეთს ტოლად და თანაბრად მისდევენ. რკინის გზებზედ გაწყობილი რელსები ერთის შეხედვით ზემოაღწერილ ლიანდაგებს მოაგონებს ადამიანის თვალს და ამიტომ დაარქვეს მისი მინაგვარი სახელი „ლიანდაგი.“

ამის გამო ვფიქრობ, რომ ტელეგრაფის მავთულებსაც უნდა დაერქვას „ლარი“ და არა ხაზი ან ნამბი.

ლექსიკონები გულმოდგინედ ვჩხრიკე, სიტყვები ვეძებე, მაგრამ იქ ის ვერ ვნახე, რაც ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის არის საჭირო; ტერმინების შემოსაღებად უნდა დაარსდეს მეთქი საუწყებათაშორისო კომისია რომ მათ ერთი ენა გამონახონ, ერთი ენით იმოქმედონ. რამდენადაც ვიცით ამგვარი კომისია უკვე არსებობს, მაგრამ დღევანდლამდის იმას არაფერი მოუწვდია უწყებათათვის, გაზეთების შემწეობით მაინც, რომ ცოტათი იხელმძღვანელონ მაინც. რა სიტყვაც გაგვიძნელდება ხოლმე, ყველა ჩვენთაგანი თავისებურად სთარგმნის და ხმარობს. ამიტომ შესაძლებელია აქაც ისეთივე არევ-დარევა გამოვიდეს, როგორც მორზესეულ ნიშნებს მოუვიდა ევროპაში.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს და აქ მოვიყვან რამდენიმე სიტყვას ანუ სახელს, რომლების ხმარებაც გვიხდება ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. რასაკვირველია, ეს სრული არ იქნება, მაგრამ იმედია სხვებიც დაგვეხმარებიან, და თან და თან დაემატება და განვითარდება.

მოვიყვან ზოგიერთ სიტყვებს, რომლებიც გვჭირდება ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში და თუ სწორედ არ არიან იგინი ქართულად გადმოკეთებულნი, ვთხოვ სხვებსაც დაგვეხმარონ ამ სამამულიშვილო საქმეში.

აპარატ—მანქანა, ვსლედ—დადევნა, გრომოოტვოდ—ხეხის უკუმქცევი, დოპლატნოი შტემპელ—გადასახადის დაღი, დოვოსტრებოვანია—მოკითხვამდის ან მოსაკითხი. ზამედლენიე—შეფერხება. ინსტრუქცია—სახელმძღვანელო, კასსა—სალარო, კლეიმო—დაღი. ნაკლადნაია—ნუსხა, ნაროჩნი—განსაკუთრებული, ნედოსტაჩა—ნაკლი, ოგოვორკა—შესწორება, პოვეროჩნოე უვედომლენიე—შეცდომის მაჩვენებელი, პროჩოტ—დანაკლისი. როზსილნოი—გზირი. რაზნიცა—განსხვავება სბორ—მონაგროვი, სუმოჩნაია ოპის—საბარგე აღწერილობა, სუმკა პოჩტალიონსკაია — მეფოსტის ბგა, პისმონოსცები — წერილმტარებელი, პოჩტალიონ—მეფოსტე, სოპროვოდიტელნი ადრესი—თანამდევი მისამართი, სპრავკა—ნარკვევი (ცნობა), სურგუჩ—ლაქი, უვედომლენიე ო პოლუჩენიი ანუ ობრატნაია როსპისკა—ჩაბარების საბუთი, უზელ—კვანძი, უზლოვოი პუნქტ—ჯვარედინი ადგილი, შტემპელ—დაღი, შტემპელევატ—დადაღვა, ექსტრენო—სასწრაფოთ, ედკია ვეშჩესტვა—მღრღნელი ნივთიერებანი, ისპუსკანიე ვლაგი—ჟონვა, ობოლოჩკა—კანი, ტისკი—მუხრუჭი, ოტისნუტ—დამუხრუჭვა, კლადოვაია—სალარო, კლადოვაია საგმლისა—საკუჭნაო. დენეჟნი პერევოდ—ფულისგზავნი, სლუჟებნაია პერეპისკა—სასამსახურო მიმოწერა. ავანს—სავარაუდო თანხა. პლომბა—პლომბა ან ტყვია. პრიომ-ვიდაჩა—მიღებ-გაცემა. კვიტანცია—ბარათი. რაზისკანიე ოტპრავლენია—განაგზავნის მოძებნა. პაჩკა—აკინძულა.

მათე იანქოშვილი

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

## ათონის საკითხი

(ათონის ქართველ-ბერების უფლებათა ახლად დარღვევის გამო)

ათონის მთა მდებარეობს ბალკანეთის აღმოსავლეთის ზღვის ნაპირას, ხალკიდის ნახევარ კუნძულზე, მაკედონიის სიახლოვით.

ძველისდგან აქ იღვწიან განდეგილი ბერები სხვა და სხვა ეროვნებისა. მე 13 საუკუნეში აქ ჰქონდათ მონასტერი ფრანგ-ბენედიქტი-ანელებსაც. გარდმოცემა ათონზე პირველად მეუდაბნოელთ შემოსვლას აწერს მე 4-ე საუკუნეს, ხოლო წერილობითი ცნობა მათზე იწყობა მე 8 საუკუნიდამ. მაგრამ განსაკუთრებითს ყურადღებას მონასტრების აღშენებით და ქრისტიანულ კულტურის გავრცელებით იქცევს მე 10 საუკუნე, როდესაც ათონზედ დასახლდა ტრაპეზონელი ბერი ათანასე ათონელი, (დედით ქართველი, მამით ბერძენი) რომელმაც ბიზანტიის მეფის ნიკიფორე ფოკის შემწეობით აღაშენა დიდი ლავრა და ითვლებოდა ათონის ხელიძღვანელად. მნიშვნელობა წმ- ათანასე ათონელისა აქამომდის თვალსაჩინოა ყველა ათონის მონასტრებისათვის; ესა სჩანს, სხვათა შორის, იმით, რომ მის გარდაცვალების დღეს (5 ივლ.) ყველანი უქმობენ სავალდებულოდ აი ამ ათონის წინამძღვართან მე-X საუკუნის დამლევს შემოვიდნენ ბერად წარჩინებულნი ქართველნი—ივერიელნი: იოანე, მისი შვილი ევთიმე და გიორგი; ცოტა ხნის შემდეგ აქ მოვიდა ივერიიდამ მორჩილ—ბერად გამოჩენილი სპასალარი თავადი თორნიკე ერისთავი. რადგან საქართველოს საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც შესანიშნავ მართლმადიდებელ სახელმწიფოს აღმოსავლეთში და რიცხვი ივერიელ ბერებისა თან-და-თან მრავლდებოდა, ქართველებმა, ბიზანტიის იმპერატორის და ათონის გამგის ათანასე ათონელის წერილობით ოქმით ნების მიღების შემდეგ აღაშენეს საკუთარი მონასტერი, რომელსაც ეწოდა ივერიის მონასტერი. ეს მონასტერი აშენდა და მისი მოძრავი და უძრავი ქონება, როგორც ათონზე, ისე მის გარეთ, შეძენილია საკუთარის საფასით და ღვაწლით ზემოხსენებულთ ქართველ ბერებისა, რომელნიც იყვნენ მეფეთ ნათესავნი), მასთან ქართველ მეფეთა—დავით კურაპალატის, ბაგრატ მე-3 და სხვა წარჩინებულთ ივერიელთ შემოწირულებით. ამ დროს ბერმა თორნიკ ერისთავმა ბერძნების სამშობლოს, ბიზანტიას, დასდო დიდი ამაგი და ღვაწლი, რის შემდეგ ივერიის მონასტერი უფრო მეტად დამტკიცდა, როგორც კუთვნილება ქართველებისა გაფართოვდა და შემკობით იქმნა შვენიერად. ამაგი ბიზანტიის წინაშე ქართველებისა საზოგადოდ და განსაკუთრებით ივერიელ ბერის თორნიკესი (იონედ წოდებულისა) მდგომარეობდა შემდეგში: მე-X-ე საუკუნის დამლევს, როდესაც ბიზანტიას განაგებდა დედოფალი თეოფანია, შემკვიდრის მცირეწლოვანობის გამო, ბერძენთ სპასალარმა ვარდა სკლიაროსმა ააჯანყა თვისი მემამულენი, სომხების და სპარსელების მონაწილეობით ბიზანტიის დასამხობათ, აიღეს უკვე მცირე აზია და მიუახლოვდნენ თვით კონსტანტინოპოლსაც. ბერძნებში აღარ აღმოჩნდა საიმედო პირი მტრის მოსაგერებლად დედოფალმა, ხალხმა, ბერებმა, სამღვდელოებამ მიჰმართეს ქართველ ბერს თორნიკეს, როგორც უფილს გამოჩენილს სპასალარს შეედგინა სამხედრო ძალა და თავის სარდლობით მოეგერიებინა ბიზანტიის მტერი. თორნიკე ჯერ უარზე იყო, რადგან იგი არა სთვლიდა შესაფერად ბერისთვის სარდლობას და ომიანობის წარმოებას. მაგრამ ათანასე ათონელის და ქართველ მამის ევთიმის მოძღვრების მოსმენის შემდეგ, რომ საქრისტიანო ქვეყნის, ბიზანტიის მამულის განსაცდელიდან დასახსნელად, მოვალეა იღვაწოს ყოველმა ერთგულმა შვილმაო. თორნიკემ დროებით ბერობას თავი დაანება და მიიღო სარდლობა. ამ დროს საქართველოდამ მეფე დავით კურაპალატმა საჩქაროდ გამოუგზავნა ბიზანტიას და თორნიკეს თორმეტი ათასი ქართველი მხედარი საშველად. თორნიკემ დაამარცხა მტერი, განათავისუფლა საბერძნეთი, სდია ბარდა სკლეროსს სპარსეთის შუაგულამდის. როდესაც გამარჯვების შემდეგ თორნიკე წარუძღვა ქართველ იოანე ბერთან ერთად ბიზანტიის დედოფალს, მან დიდი მადლობა გადუხა და და იქ მდგომარე თავის შვილებს, ვასილის და კონსტანტინეს, უბრძანა მუხლ-მოდრეკით თავი დაეკრათ თორნიკესთვის. ამ საქმისთვის ივერიის მონასტერს ბიზანტიის სამეფო სახლმა მიანიჭეს გუჯარ-სიგელებით იმპერატრიცა თეოფანის ხელ მოწერით, უფლებანი, სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი, წართმეული ბარდა სკლიაროსისაგან თორნიკეს მიერ და მისგან წარდგენილი ბიზანტიის დედოფლისადმი, უკანასკნელმა გამოუგზავნა ივერიის მონასტრის სასარგებლოდ, მის გასაფართოებლად და შესამკობლად. თორნიკე ისევ დაბრუნდა ათონს ბერად. რადგან ის დიდად მიღებული იყო სასახლეში, მისი თხოვნით წყალობანი ებოძათ ათონის ზოგ ბერძენთ მონასტრებსაც. როდესაც ივერიის მონასტერი დამზადდა ქართველებისათვის, ათანასის ლავრიდან გადმოსახლდენ ზემოხსენებულნი პირველი ათონის ქართველი ბერები, იოანე, ევთიმე, გიორგი, რომლებიც ერთი მეორის შემდეგ იყვნენ მისი წინამძღვრები, აქვე მოღვაწეობდა გამოჩენილი თორნიკეც და ყველა ქართველი ბერები.

ივერიიდამ ათონს მოსულნი, ზოგ ბერძენსაც იღებდნენ მორჩილად, მებაღეთ, როცა საჭიროება მოითხოვდა. სიგელ-გუჯრებით მონასტერი ქართველებზე დაამტკიცეს აგრეთვე ბერძენთ მეფეებმა: ვასილი, კონსტანტინე პორფიროგენეტმაც და კონსტანტინე მონომახმაც მე-XI საუკუნეში. ივერიისად იწოდება მონასტერი შემდეგის საბუთების ძალით: 1) აშენებულია ქართველების (ივერიელების) მიერ, 2) აშენებულია ივერიელ-ბერებისათვის, 3) კტიტორებად ითვლებოდნენ ივერიის მეფენი დავით კურაპალატის დროიდან, როგორც აღმშენებელნი—შემწირველნი, 4) წმ. ათანასე მთაწმინდელის და ბიზანტიის მეფეთ ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით განაჩენნი მონასტერს ივერიელთ კუთვნილებას ამტკიცებენ, 5) ესრედ წოდებულის ხატთა მდევნელთა მწვალებლობის დროს გადმოცემით ათონის მთასთან ზღვით მოცურდა მღვთის მშობლის ხატი, რომელიც ვერ შესძლეს ბერძნებმა ზღვიდამ ამოტანა, ვიდრე ხატი არ ამოასვენა ათონზე მყოფმა მწირმა გაბრიელმა—ივერიელმა ხატი დაასვენეს ივერიის მონასტრის შესავალის კარზე, არის სასწაულთ მომქმედი, ეწოდება ივერიის ღვთის მშობლის ხატი; 6) ზემოხსენებულნით მთაწმინდელნი ქართველი—იოანემ, ევთიმემ, გიორგიმ და ზოგ სხვებმაც ივერიის მონასტერში პირველად სთარგმნეს ქართულს ენაზე დაბადება და სხვა და სხვა საღვთისმეტყველო-სამეცნიერო წიგნები, აქ იყო ქართველთათვის გახსნილი საღვთისმეტყველო სასწავლებელიც, აქავე ინახება შესანიშნავი ქართული ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ძველი ხელნაწერები, მათ შორის წმ. ათანასე ათონელის ოქმი მისის ხელის მოწერით მონასტრის ქართველთა კუთვნილების შესახებ; ბიბლიოთეკას აქვს უდიდესი მნიშვნელობა არხეოლოგიის, პალეოგრაფიის და ისტორიისათვის; 7) ივერიის მონასტერში გარდაიცვალნენ და ასაფლავიან სამი პირველი მისი წინამძღვრები—ივერიელნი: იოანე, ევთიმე და გიორგი.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ და საკვირველიც არის, რომ, მიუხედავად მონასტრის ქართველ ივერიელთ კუთვნილებისა და ბერძნების ქართველებთან საზოგადოდ კეთილ განწყობილებისა, ათონელთა ბერძენი ბერები, როდესაც ჰხედავენ პოლიტიკურ არეულ დროებას, ან საქართ. ძნელს მდგომარეობას, კავკას. ათონამდის მიმოსვლის შეწყვეტას, ართმევენ ქართველ ბერებს ივერიის მონასტერს და თვითონ ეპატრონებიან. ჩვენ ხელში მყოფ წყაროებიდან ორი მაგალითი სჩანს ამ ნაირი: პირველად ბიზანტიის იმპერატორის მიხაილ პალეოლოგის დროს ბერძენ ბერებმა განაძევეს ივერიის მონასტრიდამ ქართველნი; მასთან, მთაწმინდელის გიორგის აღწერით, შეურაცყოფა მიუყენებიათ ივერიელ ბერებისათვის და ზოგისთვის უცემიათ კიდეც. ღირსი მამა გიორგი ივერიელი სწერს: რომ ბერძნები მეცადინეობენ ივერიის მონასტრის ქართველების ხელიდამ ჩამოცლას მხოლოდ სიმშურნისა და ეგოიზმის გამო: ათონის ივერიის მონასტერი ბერძნების მონასტრებზედ უკეთესიაო. ბერძენ ბერების თავხედობა იქამდის მიდისო, რომ ქართველების ხსენების მოსპობა ჰსურთ ათონზედ, როგორც საბერძნეთის მიწა-წყალზედო. მაგრამ ქართველ ბერებს არა სურთ დათმობა თვისი საკუთრებისა. ბერი გაბრიელის მეთაურობით, მიუხედავად მოსალოდნელ განსაცდელისა გზაზედ, მათ გამოგზავნეს არჩეულნი პირნი საქართველოში საჩივრით. ქართლ-კახეთის და იმერეთ-აფხაზეთის მეფეთ წერილებით ბიზანტიის მეფის მიხეილის სახელობაზე მოითხოვეს ჩაბარება ივერიის მონასტრისა ქართველებისათვის. იმპერატორმა მიხეილმა დაწვრილებით და საფუძვლიან გამოძიების შემდეგ სცნო „ივერი“ ქართველების კუთვნილებად და უბრძანა ბერძენ ბერებს დაებრუნებინათ მათთვის; მაგრამ ბერძნებმა თხოვნა შეიტანეს თავიანთ მეფესთან ხელმეორეთ გაერჩიათ საქმე; ხელმეორე გარჩევითაც დამტკიცდა ივერიის მონასტერი ქართველების კუთვნილებად და მეფე მიხეილის ბრძანებით ბერძენთ ბერებმა დაცალეს ივერიის მონასტერი მასთან მეფე მიხეილმა დაამტკიცა ივერიის მონასტერი ქართველებზე ახალის სიგელ-გუჯრით (ხრისოვულით) რომელიც ინახება დღესაც ივერიის მონასტერში, მასთან მეფე მიხაილმა დიდად დაასაჩუქრა ქართველი ბერები.

დეკ. ტარასი ივანიცკი.

(დასასრული იქნება).

სტამბა „ცხოვრება“ ალან კალანდაძისა, გაბაშვილის შესახვევი №4.